სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 924/06

ქ. თბილისი **03 დეკემბერი 2014 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") ქ. თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზირი №1, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ" (შემდგომში „მიმწოდებელი") ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N 39ა, წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მამაცაშვილის სახით, სატენდერო წინადადების საფუძველზე, თსუ საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის, ემერიტუსების, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით ელექტრონული ტენდერის **(SPA 140025028)** ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელის აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 **მზღვეველი/მიმწოდებელი – შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ".**

1.7 **დამზღვევი/შემსყიდველი – სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (თსუ).**

1.8 **დაზღვეული** – წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დაზღვეული პირები - თსუ საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალი, ემერიტუსები, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტები, შტატგარეშე თანამშრომლები და მათი ოჯახის (სხვა) წევრები.

1.9 ***<u>დაზღვეულთა სტატუსები:</u>***

1.9.1**თანამშრომელი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაზღვეული საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალი, ემერიტუსების, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტები;

1.9.2**ოჯახის წევრები** – თანამშრომლის (მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლის) მეუღლე და შვილები, თანამშრომლის მშობლები ასაკი 65 წელი, რაც (ნათესაური კავშირი) დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტაციით.

1.9.3**შტატგარეშე თანამშრომელი** - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შტატგარეშე თანამშრომელი.

1.9.4**მოსარგებლე** – დაზღვეული, ხოლო სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში -მემკვიდრე, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.10**ხელშეკრულების საგანი** – მზღვეველის/მიმწოდებლის ვალდებულება გაუწიოს დაზღვეულს დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურება;

1.11 **ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი (შემდგომში „ბარათი")** - პერსონიფიცირებული პლასტიკური ტიპის ბარათი, რომელსაც ფლობს დაზღვეული მის სასარგებლოდ ამ ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დასტურად და რომელიც მოქმედებს დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად.

1.12**სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვეულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლის გაუარესებასაც წარმოადგენს დაზღვეულის მხრივ სამედიცინო დაწესებულებაში ან/და სამედიცინო კონსულტანტთან მიმართვის, ხოლო მზღვეველის/მიმწოდებლის მხრივ - სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს წინამდებარე ხელშეკრულებით (და მისი დანართების პირობებით) განსაზღვრული შემთხვევების შესაბამისად;

1.13 **სადაზღვევო პერიოდი – 01.01.2015 – 31.12.2015 24:00** საათი, რომლის განმავლობაშიც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა არის ძალაში;

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

1.14 სადაზღვევო თანხა – წინამდებარე ხელშეკრულებასა და ბარათში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი/მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

1.15 სადაზღვევო პრემია – დამზღვევის/დაზღვეულის მიერ გადასახდელი დაზღვევის წლიური ღირებულება;

1.16 სადაზღვევო ანაზღაურება – დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

1.17 სავალდებულო მოთხოვნები – ხელშეკრულების მე-9 მუხლით განსაზღვრული მზღვეველისთვის შესასრულებელი მოთხოვნები.

1.18 გეოგრაფიული ლიმიტი – წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს საქართველოს ფარგლებში;

1.19 სამედიცინო პროვაიდერი – მზღვეველთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი კონკრეტული სამედიცინო დაწესებულება (პროვაიდერი ამბულატორიული, ჰოსპიტალური, სტომატოლოგიური, სასწრაფო სამედიცინო და სააფთიაქო ქსელი), რომლებიც მზღვეველთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოფს დაზღვეულისათვის სამედიცინო ჩვენების მიხედვით წინამდებარე ხელშეკრულებით და ბარათით განსაზღვრულ სამედიცინო მომსახურებას. პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში ოჯახის ექიმის მიმართვის საფუძველზე დაზღვეული შეუფერხებლად, ბარათში მითითებული დაზრვეულის მიერ %-ლი წილის გადახდის შემდეგ, ბარათის შესაბამისად მიიღებს სამედიცინო მომსახურებას.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის, ემერიტუსების, თსუ რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების, ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა **(CPV 66512220).**

2.2 წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს მზღვეველის/მიმწოდებლის ვალდებულებას გაუწიოს დაზღვეულს შესაბამისი ბარათით გათვალისწინებული მომსახურება.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებები მოცემულია **№1 დანართში** და მზღვეველის მიერ გაცემული ბარათში;

2.4 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას შემსყიდველი მიმწოდებელს აწვდის ინფორმაციას დაზღვეულ თანამშრომელთა სრულ სიას ცხრილის სახით **(დანართი N6).** ასევე გადაუგზავნის სიის ელექტრონულ ვერსიას მიმწოდებლის შეთანხმებულ ელ.ფოსტის მისამართზე.

ცხრილი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

2.4.1 დაზღვეულ პირთა სახელი, გვარი;

2.4.2 პირადი ნომერი;

2.4.3 დაბადების თარიღი, მისამართი, ტელეფონი;

2.4.4 სამუშაო ადგილი და თანამდებობა;

2.4.5 ოჯახის წევრის შემთხვევაში - სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი, სტატუსი დაზღვეულ თანამშრომელთან მიმართებაში.

2.6. დანართ №2-ში მითითებული დაზღვეულ პირთა სია წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, დამზღვევი/შემსყიდველი პასუხისმგებელია და პასუხისმგებლობას ადასტურებს ხელმოწერით, რომ აღნიშნული სია შეესაბამება და არ ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. დანართი N6 მოწოდებული უნდა იქნას არაუგვიანეს 2014 წლის 20 დეკემბრისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სრული ღირებულება შეადგენს **878 904,00 (რვაასსამოცდათვრამეტიათასცხრაასოთხი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების სრული ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს საშემოსავლო გადასახადის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 კონტროლს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით, განახორციელებს დამზღვევის მიერ გამოყოფილი, სპეციალური ჯგუფი ან პირი/ები (ინსპექტირების ჯგუფი), რომელთა მიერ შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და პირობები.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმი გამოიყენოს დაზღვეულის ცალკეული მოთხოვნის საფუძველზე.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომელიც უნდა დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით.

5.2 შემსყიდველის მიერ დაზღვეულთა სიაში **(დანართი №6)** ცვლილებების განხორციელების თაობაზე - როდესაც აღნიშნული ცვლილება ეხება შემსყიდველის მიერ ახალი თანამშრომლ(ებ)ის დამატებას ან არსებული თანამშრომლის დაზღვევის გაუქმებას – ინფორმაცია მიმწოდებელს უნდა მიეწოდოს ყოველი თვის 28 რიცხვიდან თვის ბოლომდე წერილობითი ფორმით. მზღვეველი დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილებას განახორციელებს ყოველი მომდევნო თვის პიველი რიცხვიდან, ხოლო ახალი დაზღვეული პირებისათვის ბარათების მიწოდება მოხდება 5 დღის ვადაში ცვლილების განხორციელებიდან.

5.3 თანამშრომლის ან/და მისი ოჯახის წევრების, ასევე შვილი/შვილების, მშობლის/მშობლების, სადაზღვევო პაკეტის შეძენა, მისი გაგრძელება შემსყიდველის მიერ ხდება დამზღვევის მზღვეველისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე სახელშეკრულებო პერიოდის დაწყებიდან (03.12.2014წ.) პირველი ორი თვის განმავლობაში. აღნიშნულის შესახებ, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ინფორმირების შემდეგ ამ პირების დაზღვევა ძალაში შევა მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

5.4 თსუ-ს მიერ დაზღვეულ თანამშრომელს (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს, ემერიტუსებს, მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს) შეუძლიათ:

ა)დააზღვიოს ოჯახის წევრები, ასევე შვილი/შვილები, მშობელი/მშობლები, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანალოგიური პირობებით, აღნიშნული დაზღვევისთვის განსაზღვრული პრემიის 15%-იანი ფასდაკლებით. სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული.

ბ) მოხდეს თსუს-ს შტატგარეშე მომუშავე თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების, შვილი/შვილების, მშობელის/მშობლების დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულების ანალოგიური პირობებით. სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული.

5.5 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის სურვილის შესაბამისად მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს ახლადშეძენილი ოჯახის წევრის დამატება (მეუღლე ან/და შვილი, რომელთან ნათესაური კავშირი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით) შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნულის შესახებ, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ინფორმირების შემდეგ. ამ პირების დაზღვევა ძალაში შევა მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2014 წლის 03 დეკემბრიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 იანვრის** ჩათვლით.

7.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობის/პირობების დარღვევის შემთხვევაში.

7.3 შემსყიდველი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 2(ორი) კვირით ადრე.

7.4 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს-მიმწოდებელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

7.5 მიმწოდებელი ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს შემსყიდველს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 2(ორი) კვირით ადრე.

7.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ნებისმიერ დროს. შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გრძელდება, მხოლოდ შეწყვეტამდე არსებულ სადაზღვევო შემთხვევებზე/სადაზღვევო პრემიის გადახდაზე, მიმდინარე პროცედურების/ანგარიშსწორების დასრულების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, დაზღვეულები სარგებლობენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

8. მხარეთა უფლება – მოვალეობები

8.1 მზღვეველი/მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან და დაზღვეულ პირთა სრული სიის მიღებიდან (დანართი N2) 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში სიის მიხედვით გასცეს შესაბამისი ბარათები, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება **01.01.2015 – 31.12.2015 (24:00** საათი) პერიოდი;

8.1.2 ოჯახის ექიმის მიმართვის საფუძველზე სამედიცინო მომსახურების მიღების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების ღირებულება მზღვეველის მიერ სრულად ანაზღაურდება ბარათით, განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში თანაგადახდის გათვალისწინებით, პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებებთან მზღვეველის მიერ პირდაპირი ანგარიშსწორებით;

8.1.3 უზრუნველყოს დაზღვეულის სამედიცინო მომსახურება თავისუფალი არჩევანის პრინციპის დაცვით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ;

8.1.4 მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაზღვეულს უარი უნდა განემარტოს წერილობითი სახით ;

8.1.5 მზღვეველთან შეთანხმებით და დანართი N1-ით გათვალისწინებული პირობების დაცვით, არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას დაზღვეული სრულად ფარავს სამედიცინო მომსახურების ღირებულებას, ხოლო გაწეული ხარჯების შესახებ შესაბამისი სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის მზღვეველისათვის წარდგენის შემდეგ მას ეს ხარჯები სრულად უნაზღაურდება, დაზღვევის პირობებითა და განსაზღვრული წესით ბარათში მითითებული ლიმიტის ფარგლებში თანაგადახდის გათვალისწინებით.

8.1.6 არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების მიღებიდან 1 თვის ვადაში, დაზღვეულმა მზღვეველს უნდა წარუდგინოს შემდეგი სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია:

ა) ბარათის და პირადობის მოწმობის ასლები;

ბ) კალკულაცია (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ფორმა № **IV-100ა**;

დ) მიღებული სამედიცინო მომსახურების ან/და ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების საფასურის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) დაზღვეულის საბანკო რეკვიზიტები.

8.1.7 მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს დაზღვეულის მიერ, როგორც ოჯახის ექიმის მიმართვის წარდგენის საფუძველზე, ასევე ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურების მიღებისას გადახდილი საფასურის დამადასტურებელი სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტების სისწორის დადგენა წარდგენისთანავე. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიუთითოს დაზღვეულს მაშინვე და განუსაზღვროს ვადა მის აღმოსაფხვრელად არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღისა ხარვეზის აღმოჩენიდან (დოკუმენტაციის წარდგენიდან).

8.1.8 8.1.6-ი პუნქტით განსაზღვრული დაზღვეულის მიერ წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია მზღვეველმა უნდა განიხილოს და მოახდინოს დაზღვეულისათვის ხარჯების ანაზღაურება წარდგენიდან არაუგვიანეს 14 კალენდარულ დღეში ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.1.9 დაზღვეულის მიერ 8.1.6-ი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მძღვეველი არ აანაზღაურებს სამედიცინო მომსახურების ხარჯებს.

8.2 მზღვეველი/მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.2.1 დაზღვეულის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა გარდაცვალებისა და დისციპლინური გადაცდომისა), ასევე მის ოჯახის წევრებს სადაზღვევო მომსახურება უნდა გაუგრძელდეთ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თუ აღნიშნული პირი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1(ერთი) კვირის განმავლობაში ერთჯერადად, სრულად გადაიხდის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის მიხედვით სადაზღვევო პრემიას.

8.3 დამზღვევი/შემსყიდველი ვალდებულია:

8.3.1 გადაიხადოს სადაზღვევო პრემია მზღვეველთან/მიმწოდებელთან შეთანხმებული წესის მიხედვით;

8.3.2 საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მზღვეველს/მიმწოდებელს დაზღვეულის შრომითი ხელშეკრულების ასლი.

8.3.3 ხელი შეუწყოს მზღვეველის/მიმწოდებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას;

8.3.4 სადაზღვევო მომსახურების კოორდინაციისა და ხარისხის მუდმივი კონტროლის მიზნით გამოყოს მზღვეველთან/მიმწოდებელთან საკონტაქტო პირი;

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

8.3.5 სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ დაზღვეულმა, ან ნებისმიერმა სხვა დაინტერესებულმა პირმა წინასწარ ან სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე უნდა შეატყობინოს მზღვეველს სადღეღამისო სატელეფონო საინფორმაციო სამსახურის საშუალებით **ტელეფონზე 2 230 303**

8.3.6 მომსახურების შემთხვევაში, როდესაც შეტყობინება ობიექტური პირობებით შეუძლებელია, ასეთი შეტყობინება უნდა გაკეთდეს სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე ან არაუგვიანეს მომსახურების მიღებიდან 24 სთ-ისა;

8.3.7 გადაუდებელი (ურგენტული) ჰოსპიტალური მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, როდესაც წინასწარი შეტყობინება ობიექტური პირობებით შეუძლებელია, ზემოხსენებული შეტყობინება უნდა გაკეთდეს არა უგვიანეს 48 სთ-ის შემდეგ მაინც.

8.4 დამზღვევი/შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.4.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან/მიმწოდებლისგან სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

8.4.2 ზარათის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მოსთხოვოს მზღვეველს/მიმწოდებელს დაკარგული ზარათის სანაცვლოდ ახალი ზარათის გაცემა. ამ პროცედურასთან დაკავშირებულ ხარჯებს იღებს დაზღვეული.

8.4.3 აუცილებლობის შემთხვევაში, ანალოგიური პირობებით დააზღვიოს შტატგარეშე თანამშრომელი, დაზღვეულ თანამშრომელთა ლიმიტის ფარგლებში (არუმეტეს 1800 პირი).

8.4.4 შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და მის მიერ დაზღვეულის მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ამ დაზღვეულის მიმართ დაზღვევის მოქმედების შეწყვეტის შესახებ,

8.4.5 აჭიროების შემთხვევაში დამზღვევი/შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია დაზღვეული პირების მიმართვიანობის სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

8.5 დაზღვეული ვალდებულია:

8.5.1 შეატყობინოს მზღვეველს/მიმწოდებელს ზარათში/წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ნომერზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო შეტყობინება შეუძლებელია), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

8.5.2 დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს/მიმწოდებელს მიანიჭოს უფლება მოიძიოს და გაეცნოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა იმ დოკუმენტაციას, რომელსაც მზღვეველი/მიმწოდებელი ჩათვლის საჭიროდ სადაზღვევო ანაზღაურებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი/მიმწოდებელი იტოვებს უფლებას არ აანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები.

8.6 დაზღვეული უფლებამოსილია:

8.6.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით წაუყენოს მზღვეველს/მიმწოდებელს განცხადებული პრეტენზია;

8.6.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

9. სავალდებულო მოთხოვნები:

9.1 დაზღვეულის სურვილის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოჯახის წევრების დაზღვევის შესაძლებლობა;

9.2 საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის ოჯახის წევრებზე უნდა გავრცელდეს დაზღვევის ანალოგიური პირობები 15%-იანი ფასდაკლებით. სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული;

9.3 შტატგარეშე თანამშრომლების დაზღვევის შესაძლებლობა;

9.4 შტატგარეშე მომუშავე თანამშრომელთა დაზღვევა უნდა გავრცელდეს დაზღვევის ანალოგიური პირობები სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული;

9.5 სადაზღვევო შემთხვევა, რაც გამონაკლისებში არ მოიაზრება, მათ შორის დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობის, დაზღვევის პერიოდში მიმდინარე ორსულობის მონიტორინგის და მშობიარობის ხარჯები ექვემდებარება წინამდებარე დაზღვევით დაფარვას;

9.6 ოჯახის ექიმის მიერ საავდმყოფოს ფურცლის (ბიულეტინის) გაცემის შესაძლებლობა;

9.7 საჭიროების შემთხვევაში პირადი ექიმის მიერ დაზღვეულზე ფორმა №IV-100ა-ს გაცემის შესაძლებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების სრული დაცვით.

9.8 კონტრაქტორი/პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების, კლინიკების ფართო ქსელი (ვრცელი ჩამონათვალი) ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია თბილისსა და რეგიონებში;

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

9.9 ბარათით გათვალისწინებული მომსახურების მიღების შესაძლებლობა თავისუფალი არჩევანის პრინციპით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში;

10. პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებები

10.1 დაზღვეულთა სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ბარათის საფუძველზე, მზღვეველთან ხელშეკრულებით დაკავშირებულ (პროვაიდერ) სამედიცინო დაწესებულებებში. პროვაიდერი დაწესებულებების ჩამონათვალი და ზუსტი საკონტაქტო ინფორმაცია ხელშეკრულებას თან ერთვის (დანართი N1.1) .

10.2 მზღვეველი/ მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს ერთი ან რამოდენიმე სამედიცინო პროვაიდერი, რის შესახებაც ეცნობება დამზღვევს/შემსყიდველს ერთი თვით ადრე.

11. ანგარიშსწორება, ფასები

11.1 სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში განხორციელდება თსუ საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის, ემერიტუსების, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა, სულ - 1800 პირი. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება შტატგარეშე თანამშრომელთა და ორივე სახის თანამშრომელთა ოჯახის წევრების სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება.

11.2ხელშეკრულების 11.1 პუნქტით განსაზღვრულ 1800 პირზე, დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო თანხის ოდენობა შეადგენს **40,69 (ორმოცი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარს.**

11.3ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ანუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მზღვეველის მიერ ყოველი თვის 05 რიცხვისა, დაზღვეულთა სიასთან ერთად წარდგენილი ინვოისის საფუძველზე. ანგარიშსწორება მოხდება ამ დოკუმენტების წარდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტში მიეთითება დამზღვევის მიერ შესაბამის თვეში გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა წინამდებარე ხელშეკრულების 11.1 პუნქტის შესაბამისად, დაზღვეულ პირთა ოდენობის გათვალისწინებით.

11.4ხელშეკრულების **1.9.2** პუნქტით განსაზღვრულ თითოეულ დაზღვეულ პირზე, ვრცელდება დაზღვევის ანალოგიური პირობები ყოველთვიურ სადაზღვევო პრემიაზე 15%-იანი ფასდაკლებით, რაც შეადგენს **34,59(ოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი** სადაზღვევო შენატანს უზრუნველყოფს დაზღვეული.

11.5დამზღვევი/შემსყიდველი უზრუნველყოფს ხელშეკრულების **1.9.1**(თსუ თანამშრომელი); **1.9.2**(თსუ-ს თანამშრომელთა ოჯახის წევრები) **და 1.9.3** (თსუ-ს შტატგარეშე თანამშრომელი) პუნქტით განსაზღვრულ თითოეულ დაზღვეულ პირზე, დაზღვევისათვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის გადმორიცხვას, 11.3 პუნქტის თანახმად ყოველთვიურად.

11.6 მზღვეველი ვალდებულია წარმოადგინოს ორი ინვოისი, კერძოდ: (1) შემსყიდველის მიერ დაზღვეულ პირებზე (არაუმეტეს 1800 პირი); და (2) თსუ-ს თანამშრომელთა (შტატში მყოფი და შტატგარეშე) ოჯახის წევრები **და** თსუ-ს შტატგარეშე თანამშრომელი.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, გამოყენებული იქნება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3 % -ის ოდენობით.

12.2მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო.

12.3შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს დაუბრუნოს გარანტია შემდეგ შემთხვევებში:

ა) გარანტიის მოქმედების ვადის გასვლისთანავე;

ბ) მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა;

დ) კანონმდებლობით გათვალსწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულმა გამოიწვია დაზღვეული თანამშრომლის ზარალი (როგორც ფინანსური, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება) მზღვეველი სრულად 100%-ით ანაზღაურებს ფინანსურ ზარალს დაზღვეული თანამშრომლის წინაშე.

13.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით გამოწვეული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების **0.1%-ის** ოდენობით.

13.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიურად შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა - ხელშეკრულების ღირებულების 2 **%-ის** ოდენობით.

13.5 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია, დააკისროს შემსყიდველს ჯარიმის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის **0.1%-ის** ოდენობით.

13.6 მზღვეველს უფლება არა აქვს შეცვალოს ან შეამციროს პროვაიდერი კლინიკების რაოდენობა დამზღვევის თანხმობის გარეშე.

13.7 მზღვეველის მხრიდან 13.6 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი აფრთხილებს მზღვეველს, ხოლო ასეთი დარღვევის გამეორების შემთხვევაში, დამზღვევი უფლებამოსილია დააყენოს ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი და/ან დააკისროს მზრვეველს ჯარიმა, ყოველ შეცვლილ პროვაიდერზე 1000 ლარის ოდენობით.

14. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავები გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

15.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

15.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ.

15.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ფორს მაჟორული გარემოებათა დადგომამდეც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

16. დასკვნითი დებულებები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, რის შემდეგაც ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.2 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად დამზღვევისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16.4 შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

შემსყიდველი _____ **მიმწოდებელი** _____

16.5 წინამდებარე ხელსეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე 3(სამ) ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, 2(ორი) შემსყიდველს.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ახლავს შემდეგი 7(შვიდი) დანართი:

1) ტექნიკური დავალება **(დანართი № 1)**;
2) პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებათა სია **(დანართი № 1.1)**;
3) რეკვიზიტები **(დანართი № 2)**;
4) ინფორმაცია გამოცდილების შესახებ **(დანართი №3)**;
5) ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ **(დანართი № 4)**;
6) სიცოცხლის დაზღვევის პირობები **(დანართი № 5)**;
7) დაზღვეულთა სია **(დანართი № 6)**;

ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი:
ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1
საბანკო რეკვიზიტები:
სს „რესპუბლიკა ბანკი"
ა/ა N GE22BR0000000000345634
ბანკის კოდი: REPLGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დ. ჩომახიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებელი

შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ"

მისამართი:
ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ.№39ა
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ქართუ ბანკი"
ა/ა N GE 45CR0000000000533602
ბანკის კოდი: CRTUGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:
204970031
დირექტორი:

ა. მამაცაშვილი

ი. საღარეიშვილი

ა. კუკულავა

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.თბილისი 03 დეკემბერი 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2014 წლის 28 ოქტომბერს ელექტრონული ტენდერის საშუალებით საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალის, ემერიტუსების, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა ჯანმრთელობის დაზღვევის (განცხადების ნომერი SPA 140025028) შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს მიმწოდებელთან შპს დაზღვევის კომპანია „ქართუ"

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დ. ჩომახიძე

თსუ იურიდიული დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე ვ. ბარამიძე

№ 10/153 "25" 11 2014

საბანკო გარანტია #2241-11/14

გარანტი: სს „ბანკი ქართუ" ს/კ 204891652

ბენეფიციარი: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრინციპალი: შპს "დაზღვევის კომპანია ქართუ" ს/კ 204970031

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ"-მ მონაწილეობა მიიღო 2014 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადება #SPA140025028, შესყიდვის ობიექტი - ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა) და თანახმად ბენეფიციარის 2014 წლის 20 ნოემბრის წერილისა #1852/01-02-05-50 გამოვლინდა გამარჯვებულად. ხელშეკრულების გაფორმებამდე, პრინციპალის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილია საბანკო გარანტია, გასაფორმებელი ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3% ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და პრინციპალის თხოვნით, ჩვენ, ს.ს. „ბანკი ქართუ" (შემდგომში „გარანტი"), ვკისრულობთ გამოუთხოვად ვალდებულებას ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის მიღების თარიღიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, გადავიხადოთ ნებისმიერი თანხა ან თანხები რომელიც (რომლებიც) ჯამში არ აღემატება ავანსად ჩარიცხული თანხის ოდენობას. გარანტის ვალდებულების ზღვარი არ აღემატება

26,367.12 (ოცდაექვსიათასსამასსამოცდაშვიდი და 12/100) ლარს.

მოთხოვნა ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სათანადოდ გაფორმებული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით მოთხოვნილი თანხის მითითებით, სადაც აღწერილი იქნება პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების ფაქტი ან ფაქტები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს წინამდებარე საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაშია **2016 წლის 02 მარტის ჩათვლით.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადახდო მოთხოვნის ორიგინალი წარდგენილი უნდა იყოს გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: ს.ს. „ბანკი ქართუ", ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. #39ა.

საბანკო გარანტიის თანხა ავტომატურად შემცირდება გარანტის მიერ ბენეფიციარის საგადახდო მოთხოვნის საფუძველზე გადახდილი თანხების ოდენობით.

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად გაუქმდება: ა) ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის წარმოდგენისა და/ან გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით გარანტისათვის; ბ) ამ საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.

გარანტიის მოთხოვნის უფლების გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია მხოლოდ გარანტის თანხმობით.

საბანკო გარანტიის გარშემო წარმოქმნილი ნებისმიერი დავის გადაჭრა მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

ზურაბ გოგუა

კომერციული დირექტორი